

## კონფიდენციალობის დებულება

წინამდებარე პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პირობები (შემდგომში ტექსტში მოხსენიებული, როგორც: „დამუშავების პირობები“) არეგულირებს – შპს „ბი ელი“-ს (შემდგომში: „ბი ელი“) პროდუქტებისა და სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებულ წესებს. შესაბამისად, იგი არ ეხება და ჩვენი კომპანია პასუხისმგებელი არ არის, მესამე პირების მიერ დამუშავების პირობებზე, ინფორმაციაზე, ან სხვა პრაქტიკებზე, რომლებსაც ეს პირები იყენებენ.

თქვენს მიერ კომპიუტერის, მობილური ტელეფონის, პლანშეტის ან ნებისმიერი მსგავსი ელექტრონული მოწყობილობის (შემდგომში: „მოწყობილობა“) მეშვეობით, ჩვენი ვებ-გვერდის ან/და მასზე განთავსებული ნებისმიერი ჩვენი პროდუქციის/შიგთავის (ე.წ. „კონტენტის“) გამოყენებით, გადმონერით ან წვდომით, ან ჩვენთვის რაიმე სახის ინფორმაციის გაზიარებით (რომელიც დაკავშირებულია ჩვენს ან სხვა ვებ-გვერდებთან/სერვისებთან), თქვენ ავტომატურად ადასტურებთ, რომ ნაიკითხეთ, გაეცანით და გაათვითცნობიერეთ წინამდებარე დამუშავების პირობები. თქვენ ასევე ადასტურებთ, რომ ჩვენს ვებ-გვერდზე თქვენ მიერ განთავსებული ან/და ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციის ნაწილი ასევე განთავსდება ჩვენს მობილურ აპლიკაციაში - „Beauty Lab App“ და გასაჯაროვდება. ჩვენი მომსახურებით სარგებლობისთვის საჭიროა, რომ გაგვიზიაროთ მესამე პირების პერსონალურ მონაცემებს. თქვენ ადასტურებთ, რომ მოპოვებული გაქვთ წინასწარი ნებართვა ყველა იმ პირისგან, რომლის პერსონალურ მონაცემებსაც გაგვიზიარებთ.

### I. მომხმარებლის პერსონალურ მონაცემთა შეგროვება

ჩვენი ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში, ჩვენ სხვადასხვა გზებით ვაგროვებთ და ვამუშავებთ პერსონალურ მონაცემებს. ჩვენ შესაძლებელია შევავსოთ პერსონალური მონაცემები, რომლებსაც მომხმარებელი უშუალოდ გაგვიზიარებს, მაგრამ, ამასთან, შესაძლებელია შევავსოთ ასეთი მონაცემები მომხმარებლის მიერ ჩვენი ამა თუ იმ სერვისების გამოყენების შედეგად მიღებული ინფორმაციის აღრიცხვით, მაგალითად, ე.წ. „Cookie“-ების მეშვეობით, რომლების შესაძლოა მომავალში გამოვიყენოთ ჩვენს ვებ-გვერდზე. გარდა ამისა, პერსონალური მონაცემები შესაძლებელია მივიღოთ მესამე პირებისგანაც.

მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა უარი განაცხადოს მისი პერსონალური მონაცემების ჩვენთვის გაზიარებაზე, მაგრამ, როგორც წესი, ზოგიერთი პერსონალური მონაცემები მომხმარებლის შესახებ, აუცილებელია იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა მიიღოს რელევანტური შეთავაზებები „ბი ელი“-სგან და მისი პარტნიორებისგან, და ასევე, რათა მომხმარებელმა ისარგებლოს ჩვენი მომსახურებით და ყველა იმ უპირატესობით, რომელიც ჩვენს ვებ-გვერდებზე რეგისტრირებულ პირებს გააჩნიათ.

*რა ტიპის ინფორმაციას ვაგროვებთ?*

იმისთვის, რომ შევძლოთ ჩვენი მომსახურების სრულფასოვნად მონოღება, ჩვენ ვაგროვებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება:

- **პერსონალურად მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციით** (სახელი და გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი);
- **ინფორმაციით ბიზნესის შესახებ** (ბიზნესის ტიპი, ბიზნესის იურიდიული მისამართი (რუკაზე ადგილმდებარეობის გაზიარების ჩათვლით), შემოსავლები);
- **ინფორმაციით მომსახურე პერსონალის შესახებ** (სახელები და გვარები, ელექტრონული ფოსტის მისამართები, ტელეფონის ნომრები, ფოტოსურათები (ნებაყოფლობით));
- **კლიენტების შესახებ ინფორმაციით** (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მათი პერსონალურად მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციით, მათ მიერ მიღებული მომსახურების დეტალებით, გადახდის მეთოდებით, გადახდილი თანხის ოდენობით);
- **ტექნიკური ინფორმაციით** („აი-პი“ მისამართი, ინტერნეტ ბრაუზერული პროგრამა და სხვა დეტალები ჩვენს ვებ-გვერდზე ინტერაქციის შესახებ);
- **ჩვენთან კომუნიკაციით** (მაგალითად, მომხმარებელთა მხარდაჭერა და სხვა მოთხოვნები, რომელსაც თქვენ ჩვენი სერვისების მეშვეობით აკეთებთ).

როგორც ზევით არის აღნიშნული, ჩვენ ვაგროვებთ და ვინახავთ ინფორმაციას თქვენი მომსახურე პერსონალის შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის უმეტესი ნაწილი თქვენივე მოხმარებისთვისაა და მასზე წვდომა გაქვთ მხოლოდ თქვენ ჩვენი ვებ-გვერდის მეშვეობით. მხოლოდ თქვენი მომსახურე პერსონალის სახელი და ნებაყოფლობით განსათავსებელი ფოტოსურათი ჩნდება ჩვენს მობილურ აპლიკაციაში და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. თუკი თქვენ გადანყვეტთ, რომ არ განათავსოთ მომსახურე პერსონალის ფოტოსურათი, ჩვენ მობილურ აპლიკაციაში გამოვიყენებთ პირობით ავტარს. თქვენ უნდა მოიპოვოთ წინასწარი ნებართვა იმ პირებისგან, რომელთა პერსონალურ მონაცემებსაც გაგვიზიარებთ.

თქვენ ასევე გაქვთ შესაძლებლობა ჩვენს მობილურ აპლიკაციაში განათავსოთ სხვა ტიპის ინფორმაცია თქვენი სურვილისამებრ. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თუკი თქვენ ჩვენი მობილური აპლიკაციის საშუალებით გაასაჯაროებთ მაიდენტიფიცირებელ პირად ან სენსიტიურ პირად ინფორმაციას, ეს ინფორმაცია შესაძლოა შეგროვებულ და გამოყენებულ იქნას მესამე პირების მიერ.

ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია და სხვა ინფორმაციები, რომელიც გაზიარებულია ხელსაწყოების მეშვეობით: როდესაც თქვენ ჩვენს სერვისებს ეცნობა ელექტრონული მონაცემების საშუალებით, შესაძლებელია, რომ მოვიპოვოთ ინფორმაცია თქვენი ადგილმდებარეობის შესახებ, თუკი თქვენი ელექტრონული მონაცემების საშუალებით, პერსონალური პარამეტრებიდან იმგვარად არის მოწყობილი, რომ ის უგზავნის ხსენებულ ინფორმაციას ვებ-გვერდებს. თქვენ გაქვთ შესაძლებლობა შეცვალოთ პერსონალური პარამეტრები თქვენს მონაცემების ნებისმიერ დროს, რათა გამოართოს ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარების ფუნქცია. იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ

დამატებითი შეკითხვები მონყობილობის პერსონალურ პარამეტრებთან, ჩვენი რეკომენდაციაა, რომ მიმართოთ მონყობილობის დამამზადებელს, ან მობილური საკომუნიკაციო სერვისების პროვაიდერს.

ჩვენ არ ვაგროვებთ თქვენს შესახებ რაიმე პერსონალურ ინფორმაციას, თუ თქვენ ნებაყოფლობით არ მოგვანვდით მას. თუმცა, შეიძლება მოგთხოვოთ გარკვეული პირადი ინფორმაციის მონოდება, როდესაც ირჩევთ ჩვენი აპლიკაციის სერვისების გამოყენებას. თუ გადაწყვეტთ, რომ არ მოგვანოდოთ პერსონალური ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ ჩვენ გაგინოთ გარკვეული მომსახურება, თქვენ შესაძლოა ვერ შეძლოთ ამ მომსახურების მიღება.

მომავალში ჩვენ შეიძლება ასევე შევაგროვოთ თქვენი დამატებითი პერსონალური, ან არაპერსონალური ინფორმაცია.

## **II. როგორ ვიყენებთ მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს?**

იმ პერსონალურ მონაცემებს, რომლებსაც თქვენ შესახებ და თქვენი მეშვეობით მოვიპოვებთ, ვამუშავებთ და ვინახავთ, ვიყენებთ მხოლოდ კონკრეტული მიზნებისთვის, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ამ მონაცემთა შემდეგი მიზნებისთვის გამოყენებით:

- მომხმარებლისთვის ჩვენი სერვისების შეთავაზება;
- მომხმარებლის ანგარიშის და რეგისტრაციის მენეჯმენტი, მათ შორის, ჩვენს ვებ-გვერდებზე მომხმარებლის წვდომისა და გამოყენების უზრუნველყოფა;
- მომხმარებელთან კომუნიკაცია მისი ანგარიშის, ჩვენი ვებ-გვერდის გამოყენებისა და სერვისების შესახებ კომუნიკაცია;
- მომხმარებლის კომენტარებსა და კითხვებზე პასუხის გასაცემად ან დასაზუსტებლად;
- მომხმარებლის ინფორმირება დამუშავების პოლიტიკის პირობებში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
- ჩვენი ვებ-გვერდისა და სერვისების ოპერირების და გაუმჯობესებისათვის;
- მომხმარებლის ჩვენს ვებ-გვერდებზე ვიზიტის ინდივიდუალური მიდგომის შექმნისათვის;
- არა-ავტორიზებული ან უკანონო აქტივობებისგან დაცვის, მათი გამოძიებისა და პრევენციისთვის;
- პრობლემების გადაჭრისთვის, დავების მოგვარებისათვის და ჩვენი ბიზნესის დაცვისა და ადმინისტრირებისათვის.

მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ გამოვიყენებთ იმ ფარგლებში, რომელიც დაშვებულია კანონით. უმეტესად, ჩვენ მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს გამოვიყენებთ შემდეგ შემთხვევებში:

- როდესაც საჭიროა სახელმშეკრულებო პირობების შესრულება, რომელსაც დავდებთ, ან უკვე დავდეთ მომხმარებელთან;
- როდესაც ეს აუცილებელია ჩვენი (ან მესამე პირების) კანონიერი ინტერესების დასაცავად და მომხმარებლის ინტერესები და ძირითადი უფლებები არ წონის ჩვენს / მესამე პირების ინტერესებს;
- მომხმარებლის წინასწარი თანხმობით;

- როდესაც ეს აუცილებელია ჩვენს მიერ კანონისმიერი ან რეგულაციიდან მომდინარე ვალდებულების შესრულებისათვის.

### **III. მარკეტინგი**

ჩვენ შესაძლოა მომხმარებელს გავუგზავნოთ მარკეტინგული შინაარსის ელექტრონული საფოსტო წერილები „ბი ელი“-ს სიახლეებთან, შეთავაზებებთან და სხვა სპეციალურ აქციებთან დაკავშირებით, რომლებიც მიგვანჩნია, რომ მომხმარებლისთვის შეიძლება საინტერესო, ინფორმაციული და ღირებული აღმოჩნდეს.

მომხმარებელი ჩვენგან მსგავსი ტიპის მარკეტინგულ შეტყობინებებს მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის თაობაზე მან განაცხადა თანხმობა, ან მოითხოვა მსგავსი ინფორმაციის მიღება, ან თუ მომხმარებელმა შეიძინა ჩვენგან პროდუქცია / სერვისები და უარი არ გამოუთქვამს მარკეტინგული შეტყობინებების მიღებაზე. თუკი მომხმარებელი დაკარგავს ინტერესს ჩვენგან მარკეტინგული შეტყობინებების მიღებაზე, მას აქვს რამდენიმე არჩევანი, რათა აღკვეთოს ამ შეტყობინებების მისთვის გაგზავნა, კერძოდ, მომხმარებელს შეუძლია მიყვეს ბმულს, რომელიც მოცემულია თითოეულ მარკეტინგულ შეტყობინებაში, რომლის საფუძველზეც იგი შეწყვეტს მარკეტინგული სიახლეების გამონერას.

საგულისხმოა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მომხმარებელი უარს განაცხადებს „ბი ელი“-სგან მარკეტინგული შეტყობინებების მიღებაზე, ჩვენ გავაგრძელებთ მისთვის ისეთი ტიპის ელექტრონული საფოსტო წერილების გაგზავნას, რომელიც დაკავშირებულია მომხმარებლის შენაძენებთან და ადმინისტრაციულ, ან სერვისთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან, როგორცაა მაგალითად, ჩვენი სამომხმარებლო პირობები და საქმიანობის წარმართვის პოლიტიკა. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, რომ გავუგზავნოთ მომხმარებელს სხვა კომუნიკაციები, მათ შორის, სერვისის განცხადებები, ადმინისტრაციული ტიპის მესიჯები და კითხვარები, რომლებიც დაკავშირებულია მომხმარებლის ანგარიშთან, ისე რომ, ამ უკანასკნელს არ წარვუდგინოთ მსგავსი შეტყობინებების მიღების აღკვეთის გზები.

### **IV. ვის შეიძლება გავუზიაროთ მომხმარებლის პერსონალური მონაცემები**

გარკვეული ინფორმაცია, რომელსაც მომხმარებელი ჩვენ გვიზიარებს განთავსდება ჩვენს მობილურ აპლიკაციაში და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ასეთი ინფორმაცია მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება მომხმარებლის: ბიზნესის შესახებ ინფორმაციით, მომსახურე პერსონალის შესახებ ინფორმაციით, სერვისების შესახებ ინფორმაციით, სამუშაო საათებით, ადგილმდებარეობით და ა.შ.

„ბი ელი“-მ შესაძლოა გააზიაროს მომხმარებლის პერსონალური მონაცემები სხვა პირებთან, მათ შორის, სხვა კომპანიებთან ან მესამე პირებთან, როგორებიც არიან, მაგალითად, სერვისის მომწოდებლები, რომლებიც ჩვენი დავალებით მოქმედებენ. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გავყიდით ან დავკარგავთ უფლებებს ჩვენს ბიზნესზე (ან მის ნაწილზე) და მომხმარებლის პერსონალური მონაცემები კავშირშია გაყიდულ / უფლება- დაკარგულ ბიზნესთან ან მის ნაწილთან, ან თუკი ჩვენი ბიზნესი გაერთიანდება სხვა პირთან - ჩვენი

ბიზნესის ახალ მესაკუთრეს, ან გაერთიანების შედეგად შექმნილ პარტნიორს გავუზიარებთ მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს. თუკი ჩვენ გვექნება შესაბამისი კანონისმიერი ვალდებულება, ჩვენ გავაზიარებთ მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სხვა მომხმარებლების, კომპანიის, ვებ-გვერდების, ჩვენი უფლებების და საკუთრების დასაცავად.

შესაძლოა, რომ ჩვენ ასევე გავაზიაროთ ან გავამჟღავნოთ პერსონალური მონაცემები თუკი, ჩვენი დისკრეციის ფარგლებში, მივიჩნევთ, რომ ეს საჭიროა:

- კანონისმიერი და აღსრულებადი უწყისის (მათ შორის, სასამართლოს უწყისის), სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების ან სხვა სამართლებრივ პროცესთან დამორჩილებისათვის; ჩვენი სამართლებრივი უფლებების ჩამოყალიბების ან სარგებლობისთვის; სამართლებრივი დავისგან (სარჩელისგან, საჩივრისგან) თავის დაცვისთვის; ან კანონის სხვა მიზნებისათვის. ასეთ შემთხვევებში, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, რომ გამოვიყენოთ ყველა სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც ჩვენთვის ხელმისაწვდომია;
- არალეგალური, ან სავარაუდოდ არალეგალური აქტივობების პრევენციისთვის, გამოძიებისთვის ან შესაბამისი საპასუხო ქმედებისთვის; „ბი ელი“-ს, ჩვენი მომხმარებლების ან სხვების უფლებების, უსაფრთხოების ან საკუთრების დაცვისთვის; ჩვენი პირობების ან სხვა სამართლებრივი გარიგებების, მათ შორის, ჩვენს პარტნიორებთან ან მომწოდებლებთან არსებული გარიგებების მიზნებისთვის;
- კორპორაციული ტრანზაქციების, როგორცაა მაგალითად, გაყოფა, შერწყმა, შექმნა, კონსოლიდაცია ან აქტივების გაყიდვა, ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიზნებისთვის;
- სახელმწიფო ორგანოებთან ან აღსრულების ბიუროებთან ურთიერთობის მიზნებისთვის (თუ ასეთ შემთხვევებში, ინფორმაციის გამჟღავნებას კანონის გვავალდებულებს).

ასევე, შესაძლებელია, რომ ჩვენ გავაზიაროთ მთლიანი ან ანონიმური ინფორმაცია შესამე პირებთან, მათ შორის, ინვესტორებთან ან რეკლამის განმთავსებლებთან. მაგალითად, ჩვენ შესაძლოა რეკლამის განმთავსებლებს ვუთხრათ ჩვენი ვებ-გვერდის მომხმარებლების რაოდენობა, ან თუ რომელია ჩვენს პროდუქტებს / სერვისებს შორის ყველაზე პოპულარული. ეს ინფორმაცია არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს და გამოიყენება ვებ-გვერდების შინაარსის და სერვისების განვითარებისთვის.

## **V. რამდენი ხნის მანძილზე ვინახავთ მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს**

მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს შევინარჩუნებთ მხოლოდ იმდენი ხნით, რამდენიც საჭიროა იმ მიზნების შესასრულებლად, რომელთა მიღწევისთვისაც შევაგროვეთ ასეთი ინფორმაცია, მათ შორის, სამართლებრივი, ბუღალტრული ან მოხსენებითი (ყოველწლიური ანგარიშები და სხვ.) საჭიროებებისთვის.

რათა დავადგინოთ პერსონალური მონაცემების ოპტიმალური შენახვის პერიოდი, ჩვენ მხედველობაში ვიღებთ მონაცემების რაოდენობას, ბუნებას და სენსიტიურობას, პოტენციური ზიანის რისკს (რომელიც ახლავს ასეთი ინფორმაციის გამჟღავნებას ან უნებართვოთ მოპოვებას), მიზნებს, რომელთა მისაღწევადაც დავამუშავებთ ეს მონაცემები და არსებობს თუ არა სხვა საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც შევძლებთ ამავე მიზნების მიღწევას და ასევე, სამართლებრივ მოთხოვნებს.

## **VI. თქვენი უფლებები პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით**

მომხმარებელს შეუძლია შეამოწმოს, ჩაანაცვლოს ან განაახლოს ის ინფორმაცია, რომელიც ჩვენ მოგვანოდა, ან ნებისმიერ დროს მიიღოს გადაწყვეტილება ჩვენთან გახსნილი ანგარიშის (ე.წ. „ექაუნთის“) დახურვის/გაუქმების შესახებ, რასაც შეძლებს ონლაინ სისტემის ან ჩვენს შემდეგ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე შესაბამისი შეტყობინების გამოგზავნის გზით [support@beautylab.ge](mailto:support@beautylab.ge). თუკი მომხმარებელი გადაწყვეტს, რომ დახუროს/გააუქმოს ჩვენთან შექმნილი ანგარიში, ჩვენ გავაუქმებთ და წავშლით მომხმარებლის პროფილის ინფორმაციას. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მას შემდეგ რაც მომხმარებლის ანგარიში დაიხურება, იგი ვეღარ შეძლებს ამ ანგარიშზე შესვლას და წვდომას მომხმარებლის პროფილის ინფორმაციასთან. მიუხედავად ამისა, მომხმარებელს ნებისმიერ დროს შეუძლია გახსნას ახალი ანგარიში.

ჩვენ გვსურს დავრწმუნდეთ, რომ თქვენ კარგად იცნობთ მონაცემთა დაცვის თქვენს ყველა უფლებას. თქვენ გაქვთ შემდეგი უფლებები:

- **ინფორმაციაზე წვდომის უფლება** - თქვენ გაქვთ უფლება მოსთხოვოთ ჩვენს კომპანიას ჩვენს ხელთ არსებული თქვენი პირადი მონაცემების ასლები;
- **ინფორმაციის გასწორების უფლება** - თქვენ გაქვთ უფლება მოსთხოვოთ ჩვენს კომპანიას თქვენი პერსონალური ინფორმაციის შესწორება ან განახლება, თუკი თქვენ თვლით, რომ ასეთი ინფორმაცია არასწორი ან მოძველებულია. თქვენ ასევე გაქვთ უფლება მოსთხოვოთ ჩვენს კომპანიას თქვენი პერსონალური ინფორმაციის დამატება (სრულყოფა), თუკი თვლით, რომ ეს ინფორმაცია არასრულია;
- **ინფორმაციის ნაშლის უფლება** - თქვენ გაქვთ უფლება მოსთხოვოთ ჩვენს კომპანიას თქვენი პერსონალური ინფორმაციის დაბლოკვა, ნაშლა ან განადგურება, თუკი:
  - თქვენი პერსონალური მონაცემები აღარ არის საჭირო იმ მიზნებისთვის, რომელთა მიღწევისთვისაც ისინი შევავსოვეთ ან დავამუშავებთ; ან
  - თქვენ გამოითხოვთ თქვენს თანხმობას, იმ შემთხვევაში, თუ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება დაფუძნებულია სწორედ ასეთ თანხმობაზე და სხვა სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს; ან
  - თქვენ უარს აცხადებთ თქვენი მონაცემების ჩვენს მიერ დამუშავებაზე და ჩვენ არ გვაქვს უპირატესი სამართლებრივი ინტერესი დამუშავებისთვის; ან

- თქვენი პერსონალური მონაცემები უკანონოდ იქნა დამუშავებული; ან
  - თქვენი პერსონალური მონაცემები უნდა წაიშალოს სამართლებრივი ვალდებულების შესასრულებლად/აღსასრულებლად.
- **მონაცემთა დამუშავების შეზღუდვის მოთხოვნის უფლება** - თქვენ გაქვთ უფლება მოსთხოვოთ ჩვენს კომპანიას თქვენი პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შეზღუდვა, თუკი:
- პერსონალურ მონაცემთა სიზუსტე სადავოდ გახადეთ, იმ პერიოდის მანძილზე, როდესაც ჩვენ უნდა დავადასტუროთ პერსონალური მონაცემების სიზუსტე; ან
  - პერსონალურ მონაცემთა დამუშავება არაკანონიერია და თქვენ მათი წაშლის ნაცვლად, ითხოვს მათზე წვდომის ან/და დამუშავების შეზღუდვას; ან
  - ჩვენ აღარ გვესაჭიროება თქვენი პერსონალური მონაცემები იმ მიზნებისთვის, რომელთა მისაღწევადაც დამუშავება დაიწყო, მაგრამ თქვენ ეს მონაცემები გჭირდებათ სამართლებრივი მოთხოვნისათვის; ან
  - თქვენ უარს აცხადებთ დამუშავებაზე, იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ჩვენ უნდა შევამოწმოთ, არსებობს თუ არა თქვენს ინტერესებზე უპირატესი იურიდიული ინტერესი დამუშავების გასაგრძელებლად.
- **მონაცემთა დამუშავებაზე უარის თქმის უფლება** - თქვენ გაქვთ უფლება უარი თქვათ ჩვენი კომპანიის მიერ თქვენი პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე. ჩვენ დავემორჩილებით თქვენს ასეთ მოთხოვნას, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც არ გვაქვს შესაბამისი უპირატესი სამართლებრივი ინტერესი მონაცემთა დამუშავებისთვის, ან ჩვენ დამუშავების გაგრძელება გვესაჭიროება სამართლებრივი მოთხოვნის/უფლების დამყარებისთვის, გამოყენებისთვის ან დაცვისთვის;
- **მონაცემთა გადამისამართების უფლება** - თქვენ გაქვთ უფლება გარკვეულ პირობებში მოსთხოვოთ ჩვენს კომპანიას თქვენი პერსონალური ინფორმაციის მესამე პირ(ებ)ისთვის, ან პირადად თქვენთვის გადაცემა. თქვენ ხსენებული უფლება გაქვთ იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება იმ პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც თქვენ თავად მოგვანოდეთ, დამუშავება დაფუძნებულია თანხმობაზე, ან აუცილებელია ჩვენსა და თქვენს შორის არსებული გარიგების შესასრულებლად და დამუშავება ხდება ავტომატური საშუალებებით.

თუკი თქვენ გსურთ რომელიმე ზემოხსენებული უფლებით სარგებლობა, გთხოვთ დაგვიკავშირდით ქვემოთ მითითებული გზების მეშვეობით.

## VII. როგორ ვიცავთ მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს

„ბი ელი“ ორიენტირებულია, რომ დაიცვას მომხმარებლის პერსონალური მონაცემების მთლიანობა და უსაფრთხოება. ჩვენ იმპლემენტირებული გვაქვს და ვინარჩუნებთ შესაბამის ადამიანურ, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და ორგანიზაციულ რესურსებს, რათა უკანონო ან არაუფლებამოსილი წვდომისგან, გამოყენებისგან, გამჟღავნებისგან და შემთხვევითი

დაკარგვისგან, დაზიანებისგან, შეცვლისგან ან განადგურებისგან დავიცვათ ის პერსონალური მონაცემები, რომლებსაც მომხმარებელი მოგვანვდის.

ჩვენი მიზანია შევინახოთ მომხმარებლის პერსონალური მონაცემები დაცულ ადგილებში, რომლებიც არ არის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი და მოვახდინოთ ისეთი უსაფრთხოების ზომების დაყენება ამ ადგილას, რომლებიც უზრუნველყოფს ასეთი მონაცემების დაცვას დაკარგვისგან, უკანონოს გამოყენებისგან ან შეცვლისგან, როგორც მესამე პირებისგან, ასევე ჩვენივე თანამშრომლებისგან.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, არ არსებობს ინტერნეტის მეშვეობის გადაცემული მონაცემები, ან მონაცემთა შენახვის მეთოდი, რომელიც გარანტიას იძლევა 100%-იან დაცვაზე, შესაბამისად, ჩვენ არ შეგვიძლია გავცეთ აბსოლუტური გარანტია, რომ მომხმარებლის მიერ მოწოდებული პერსონალური მონაცემები დაცული იქნება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ შემთხვევაში. „ბი ელი“ დამოკიდებული იქნება მომხმარებლის კომუნიკაციაზე იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი შეამჩნევს რაიმე უჩვეულო აქტივობას / მოვლენას, რომელიც შეიძლება უთითებდეს მისი (მომხმარებლის) ინფორმაციის უსაფრთხოების დარღვევაზე. ასეთი კომუნიკაციის შემდეგ, ჩვენ დავინწყებთ გამოძიებას, რათა დავადგინოთ, იყო თუ არა ეს მოვლენები დაკავშირებული ჩვენს ვებ-გვერდიდან ან ჩვენი ვებ-გვერდისთვის მონაცემთა გადაცემაზე და ვაცნობებთ მომხმარებელს თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგან მან პრობლემის მოსაგვარებლად.

## **VIII. გარეშე ბმულები**

ჩვენს ვებ-გვერდზე შესაძლებელია განთავსებულ იქნეს ბმულები მესამე პირთა ვებ-გვერდებზე, პროგრამებზე ან აპლიკაციებზე. თუკი მომხმარებელი გადავა სხვა ვებ-გვერდზე იმ ბმულიდან, რომელიც განთავსებული იქნება ჩვენს ვებ-გვერდზე, ამ მესამე პირთა ვებ-გვერდის ოპერატორებმა შესაძლოა შეაგროვონ ან გააზიარონ ინფორმაცია მომხმარებლის შესახებ. ეს ინფორმაცია გამოყენებულ იქნება სწორედ ამ პირთა დამუშავების პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს ჩვენი დამუშავების პოლიტიკისგან. ჩვენ არ ვაკონტროლებთ მესამე პირთა ვებ-გვერდებს და რეკომენდაციას ვწევთ, რომ მომხმარებელი გაეცნოს ამ პირთა დამუშავების პოლიტიკას, რათა სრულად გაიგოს მათი პროცედურები, რომელიც დაკავშირებულია მონაცემების შეგროვებასთან, გამოყენებასთან და გავრცელებასთან.

## **IX. საერთაშორისო გადაცემები**

მომხმარებლის პერსონალური მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს ან გადაცემულ იქნეს საქართველოს გარეთ იმ მიზნებისთვის, რომლებიც ხსენებულია წინამდებარე დამუშავების პირობებში. იმ შემთხვევებში, როდესაც ჩვენ ვინახავთ ან გადავცემთ მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს საქართველოს გარეთ, ჩვენ ვიჩინებთ შესაბამის წინდახედულობას, რათა უზრუნველყოთ მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დაცვა.

როდესაც ჩვენ ვინახავთ ან გადავცემთ მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს საქართველოს გარეთ, ამას ვახორციელებთ შესაბამისი



კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და ჩვენ უზრუნველყოფთ, რომ ეს მონაცემები დაცულ იქნება ისეთივე სტანდარტებით, როგორც ჩვენთან. პერსონალურ მონაცემთა გადაცემა ხდება:

- ქვეყანაში, რომელიც აღიარებულია ევროპის კომისიის მიერ, როგორც სახელმწიფო, სადაც ხელმისაწვდომია უსაფრთხოების ადექვატური დონე; ან
- ქვეყანაში, რომელშიც არ არის ადექვატური უსაფრთხოების დონე, მაგრამ გადაცემაზე ზედამხედველობა ხდება ევროპის კომისიის სახელმწიფო ნორმების საფუძველზე ან ხელმისაწვდომია შესაბამისი საზღვრებს-შორისი გადაცემის გზები, რომლებიც იძლევა ადექვატური დაცვის საშუალებას.

## **X. ცვლილებები დამუშავების პირობებში**

ჩვენი ბიზნესი განაგრძნობს ზრდას და შესაბამისად, დროდადრო, წინამდებარე დამუშავების პირობები შეიძლება გადაიხედოს ან შეიცვალოს.

„ბი ელი“ იტოვებს უფლებას, რომ შეცვალოს წინამდებარე დამუშავების პირობები, ამ ცვლილებების მის ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებით. მომხმარებელს შეუძლია დაადგინოს თუ როდის შევიდა დამუშავების პირობებში უახლესი ცვლილებები „უკანასკნელი განახლების“ ბმულზე გადასვლით, რომელიც მოცემულია წინამდებარე დამუშავების პირობები, როდესაც შესაბამისი ცვლილებები შევა ძალაში. ჩვენ შევატყობინებთ ჩვენს წევრებს წინამდებარე დამუშავების პირობებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე ან მათ ელექტრონულ ფოსტაზე (რომელიც მომხმარებელმა თავად მოგვანოდა) შეტყობინების გაგზავნის გზით, ან ჩვენს ვებ-გვერდზე შესაბამისი ანოტაციის გამოქვეყნებით. ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ მომხმარებელს, რომ დროდადრო გადახედოს წინამდებარე დამუშავების პირობებს, რათა გადახედოს უკანასკნელ ვერსიას.

## **XI. „Cookies“-ის პირობები**

შპს „ბი ელი“ ამ ეტაპზე არ იყენებს „Cookies“-ებს. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას მომავალში გამოვიყენოთ „Cookies“-ები და მსგავსი ტექნოლოგიები იმისთვის, რომ თქვენ მიერ ჩვენი ვებ-გვერდის გამოყენება იყოს მაქსიმალურად გამართული, საიმედო და სასარგებლო. ჩვენ დაუყოვნებლივ შეგატყობინებთ ჩვენ მიერ „Cookies“-ების გამოყენების დაწყების შესახებ, რის შემდეგაც, თქვენი მხრიდან ჩვენი ვებ-გვერდით სარგებლობის გაგრძელება ჩაითვლება თანხმობად ჩვენს მიერ „Cookies“-ების გამოყენებაზე.

*რა არის „Cookies“?*

„Cookies“ არის პატარა ტექსტის ფაილები, რომლებიც ავტომატურად განთავსდება თქვენს კომპიუტერზე ან მონაცემილობაზე, როდესაც თქვენ თითქმის ნებისმიერ ვებ-გვერდს სტუმრობთ. თქვენი ინტერნეტ ბრაუზერები ინახავს „Cookies“-ის, რათა არსებობდეს საბაზისო ინფორმაცია თქვენ მიერ ინტერნეტის გამოყენებაზე, მაგრამ ისინი („Cookies“-ები), როგორც წესი, არ ახდენს თქვენი პიროვნების იდენტიფიცირებას. თქვენი ინტერნეტ ბრაუზერი უგზავნის ამ „Cookies“-ებს ვებ-გვერდს ყოველ ჯერზე, როდესაც თქვენ

ხელახლა სტუმრობთ მას, რაც თქვენი კომპიუტერის (ან სხვა მონაცემების) „ცნობის“ საშუალებას იძლევა, რაც, თავის მხრივ, ამარტივებს ვებ-გვერდზე სტუმრობისას, თქვენთვის პერსონალიზირებული და გაუმჯობესებული გამოცდილების მიწოდებას.

მაგალითად, „Cookies“-ები შესაძლოა გამოყენებულ იქნას ჩვენს ვებ-გვერდზე, რათა დავიმახსოვროთ მომხმარებლის ანგარიშზე შესასვლელი დეტალები იმისათვის, რომ მომხმარებელს ვებ-გვერდზე შესვლისას, ყოველ ჯერზე, ახლიდან არ უნევდეს მათი შეყვანა. სხვა „Cookies“-ები ხელს შეგვიწყობს, რომ უკეთ გავიგოთ რა არის ჩვენი მომხმარებლისთვის მიმზიდველი და საინტერესო, და რა - არა. ჩვენ ამას გამოვიყენებთ იმისათვის, რომ მივანოდოთ მომხმარებელს სერვისები/პროდუქტები, რომელიც უკეთ არის მორგებული მის ინტერესებზე და უზრუნველყოთ, რომ მომხმარებლის შემდეგი ვიზიტი ჩვენს ვებ-გვერდზე, მისთვის უკეთესი და უფრო პროდუქტიული იყოს. ჩვენ შესაძლოა „Cookies“-ები ასევე გამოვიყენოთ, რომ მოვახდინოთ ვიზიტორების მიერ, ჩვენი ვებ-გვერდით სარგებლობის ტენდეციათა ანალიზი.

ჩვენ შესაძლოა, ასევე ვითანამშრომლოთ მესამე პირებთან და რეკლამის განმათავსებლებთან, რათა მომხმარებელს, ჩვენი ვებ-გვერდის მეშვეობით, მივცეთ წვდომა საინტერესო მასალაზე. აქედან გამომდინარე, ჩვენს ვებ-გვერდზე ჩვენ მიერვე განთავსებული „Cookies“-ების („პირველი პირის „Cookies“-ები“) გარდა, ჩვენ ასევე შესაძლოა ნება დავართოთ მესამე პირებს, რომლებიც ათავსებენ რეკლამას ჩვენს ვებ-გვერდზე, რომ დანერგონ თავიანთი „Cookies“-ები („მესამე პირთა „Cookies“-ები“). მესამე პირთა „Cookies“-ები აღრიცხავენ ინფორმაციას მომხმარებლის მიერ რეკლამებით სარგებლობის შესახებ. ეს ეხმარება რეკლამის განმათავსებლებს, რომ მომხმარებელს შესთავაზონ ის რეკლამები, რომლებიც ამ უკანასკნელისთვის დიდი ალბათობით საინტერესოა, ასევე, ამცირებს მომხმარებლის მიერ ერთი და იგივე რეკლამის ნახვის რაოდენობას და აუმჯობესებს მომხმარებლის ონლაინ გამოცდილებას.

მომხმარებლის ნებისმიერ ინფორმაციზე, რომელსაც ჩვენ მოვიპოვებთ მის მიერ „Cookies“-ების გამოყენების გზით, ვრცელდება წინამდებარე კონფიდენციალობის დებულების პირობები.

## **XII. ჩვენთან დაკავშირება**

შპს „ბი ელი“ მზადაა მიიღოს თქვენი შეკითხვები და კომენტარები წინამდებარე კონფიდენციალობის დებულებასთან დაკავშირებით. თუკი თქვენ თვლით, რომ შპს „ბი ელი“ არ ასრულებს წინამდებარე დებულებას, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგი საშუალებებით:

შპს „ბი ელი“

სულხან ცინცაძის ქ. N85; 0160, თბილისი, საქართველო

ელექტრონული ფოსტის მისამართ: [support@beautylab.ge](mailto:support@beautylab.ge)

[Hello@beautylab.ge](mailto>Hello@beautylab.ge)

ტელეფონის ნომერი: +995 599 725533

### **XIII. შესაბამის უწყებებთან დაკავშირება**

თუკი თქვენ თვლით, რომ წინამდებარე დოკუმენტით, ან საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული თქვენი რომელიმე უფლება დაირღვა, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ან სასამართლოს შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან დაკავშირება შეგიძლიათ შემდეგი საშუალებით:

ელექტრონული ფოსტის მისამართი: [office@stateinspector.ge](mailto:office@stateinspector.ge)

ტელეფონის ნომერი: +995 032 2 421000

ძალაშია 2020 წლის 9 სექტემბრიდან